



## სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების კრიტერიუმები

ორგანიზაციების ჯგუფი	აღიარების კრიტერიუმები	დაფინანსების კრიტერიუმები
გუნდური სპორტის სახეობის ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა;</li> <li>▪ IOC *, INOC * და WADA*-ს მიერ აღიარება;</li> <li>▪ სფეროში მუშაობის გამოცდილება;</li> <li>▪ პოპულარობა, ტრადიციები;</li> <li>▪ კარგი მმართველობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრიორიტეტული სპორტის სახეობა;</li> <li>▪ პოპულარობა, ტრადიციები;</li> <li>▪ წარმატება, წარმატების პერსპექტივა;</li> <li>▪ კარგი მმართველობა;</li> <li>▪ მასობრიობა.</li> </ul>
ინდივიდუალური სპორტის სახეობის ორგანიზაციები		
სხვადასხვა სპორტის სახეობის გაერთიანებები		
მასობრივი სპორტის სახეობის ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა;</li> <li>▪ IOC *, INOC * და WADA*-ს მიერ აღიარება;</li> <li>▪ სფეროში მუშაობის გამოცდილება;</li> <li>▪ მასობრიობა;</li> <li>▪ კარგი მმართველობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პოპულარობა, ტრადიციები;</li> <li>▪ კარგი მმართველობა;</li> <li>▪ მასობრიობა.</li> </ul>
კომიტეტები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შესაბამისი საერთაშორისო კომიტეტის წევრობა;</li> <li>▪ სფეროში მუშაობის გამოცდილება;</li> <li>▪ კარგი მმართველობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ წარმატება, წარმატების პერსპექტივა;</li> <li>▪ კარგი მმართველობა.</li> </ul>
სხვა სპორტული ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა;</li> <li>▪ სფეროში მუშაობის გამოცდილება;</li> <li>▪ კარგი მმართველობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პრიორიტეტული სპორტის სახეობა;</li> <li>▪ კარგი მმართველობა.</li> </ul>

\* IOC - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

\* INOC - საერთაშორისო არაოლიმპიური კომიტეტი

\* WADA - მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო



### კრიტერიუმების პროცენტული მაჩვენებელი

ორგანიზაციების ჯგუფი	კრიტერიუმები	%
გუნდური სპორტის სახეობის ორგანიზაციები	1. პრიორიტეტული სპორტის სახეობა	15
	2. პოპულარობა, ტრადიციები	15
ინდივიდუალური სპორტის სახეობის ორგანიზაციები	3. წარმატება, წარმატების პერსპექტივა	30
	4. კარგი მმართველობა	25
სხვადასხვა სპორტის სახეობის გაერთიანებები	5. მასობრიობა	15
	1. პოპულარობა, ტრადიციები	15
მასობრივ სპორტული ორგანიზაციები	2. კარგი მმართველობა	25
	3. მასობრიობა	60
კომიტეტები	1. წარმატება, წარმატების პერსპექტივა	30
	2. კარგი მმართველობა	70
სხვა სპორტული ორგანიზაციები	1. პრიორიტეტული სპორტის სახეობა	20
	2. კარგი მმართველობა	80



### კრიტერიუმებისა და სტანდარტების განმარტება

<b>პრიორიტეტული სპორტის სახეობა</b>	პრიორიტეტული სპორტის სახეობის ძირითადი განმსაზღვრელი არის, სახეობის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებულად მაღალი ინტერესი და ჩართულობა. პრიორიტეტის შეფასება ნაწილდება გარკვეული ფედერაციების ჯგუფების მიხედვით.
<b>პოპულარობა, ტრადიციები</b>	სპორტის სახეობის პოპულარობის და ტრადიციების განმსაზღვრელია საყოველთაოდ აღიარებული ქართული ტრადიციები და ბოლო წლებში განხორციელებული კვლევებით დადასტურებული პოპულარობის (რეიტინგი) მაჩვენებელი.
<b>წარმატება, წარმატების პერსპექტივა</b>	წარმატება და წარმატების პერსპექტივა განისაზღვრება მიმდინარე და ბოლო 3 წლის მანძილზე მიღწეული შედეგების (მედლები, საპრიზო ადგილები, ლიცენზია) შესაბამისად.
<b>კარგი მმართველობა</b>	<p>სტანდარტი - კრიტერიუმის შეფასების სტანდარტი განისაზღვრება ინდივიდუალურად, შესაბამისი სპორტის სახეობის განვითარების დონისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.</p> <p>სპორტული ორგანიზაციის კარგი მმართველობის პრინციპი განისაზღვრება შიდა მენეჯმენტის ხარისხის დონით. შიდა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ეფექტიანი მუშაობის შეფასების ნაწილში ყურადღება გამახვილდება რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე, ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ორგანიზაციის წესდება;</li> <li>▪ სტრუქტურული მოწყობა;</li> <li>▪ მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;</li> <li>▪ კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოება;</li> <li>▪ მწვრთნელთა და მსაჯთა სერტიფიცირება;</li> <li>▪ სტატისტიკის განახლება;</li> <li>▪ სახეობის პოპულარიზაცია (რეკლამა, პიარი, ვებ-გვერდი და სხვა);</li> <li>▪ დოპინგთან, ძალადობასთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლა;</li> <li>▪ გენდერულ საკითხებზე მუშაობა;</li> <li>▪ ალტერნატიული (არასახელმწიფო) დაფინანსება (სპონსორები, დონორები).</li> </ul>
<b>მასობრიობა</b>	<p>მასობრიობა განისაზღვრება ქვეყნის მასშტაბით კონკრეტულ სპორტის სახეობაში ჩართულ პირთა რაოდენობით.</p> <p>სტანდარტი - კრიტერიუმის შეფასების სტანდარტი განისაზღვრება ინდივიდუალურად, შესაბამისი სპორტის სახეობის განვითარების დონისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.</p>